გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2019 წელი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. #107-ში არსებული 31,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.27.12.078) ზეინაბ შერვაშიძისათვის (პ.ნ 61001056027) პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლის ვადით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური აღნაგობის საზღაური განისაზღვროს 1550,0 (ერთი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 25 დეკემბერს წარედგინა ზეინაბ შერვაშიძის N34625/25 განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ცხოვრობს პუშკინის ქ. #107-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში (ს/კ 05.27.21.018). სახლის მეორე სართულის კედლები საჭიროებს გამაგრებას, რისთვისაც საჭიროა ხუთი სვეტის გაკეთება, რაც შეუძლებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. #107-ში მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემას.

აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელების პერიოდში, განმცხადებლის მიერ შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელდა პუშკინის ქ. #107-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე სვეტების განთავსება (მშენებლობა). ამ ტერიტორიაში მოექცა უსინათლოთა ბილიკი. განმცხადებლმა საკუთარი ხარჯებით მოახდინა უსინათლოთა ბილიკის გადაადგილება. ამჟამად სვეტებით მოცული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარებული აზომვითი სამუშაოებით განსაზღვრული 31,0 კვ.მ. ტერიტორია (ს/კ 05.27.12.078) განმცხადებლის ფაქტობრივ სარგებლობაშია.

გამომდინარე იქედან, რომ მოთხოვნილი ტერიტორია განმცხადებლის სარგებლობაშია, მიზანშეწონილია მასთან გაფორმდეს აღნაგობის ხელშეკრულება, რისთვისაც საჭიროა ამ ტერიტორიის მასზე პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, ამასთან, მასვე დაეკისროს სვეტების განთავსების (მშენებლობის) განხორციელების დროიდან აღნაგობის ხელშეკრულების გაფორმებამდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიწის ნაკვეთით სარგებლობის საფასური.

შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ზეინაბ შერვაშიძის განცხადება და მას პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. N107-ში მდებარე 31,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.27.12.078).

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. N107-ში მდებარე 31,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით სარგებლობის

საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა - მისი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 1550,00 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე